განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ“

ა)ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საჭიროა შეიქმნას სამართლებრივი საფუძვლები იმისათვის, რომ ნაციონალურმა ბიბლიოთეკებმა სრულყოფილად აწარმოონ საკუთარი ეროვნული ბიბლიოგრაფია, დროულად შეაგროვონ, აღრიცხონ და დაამუშაონ ეროვნული ხელნაწერი და ბეჭდური მემკვიდრეობის დოკუმენტები.
კანონმდებლობა სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ თავის ისტორიას იწყებს 1537 წლიდან, როდესაც საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I-მა გამოსცა "მონპელიეს დადგენილება", რომელიც კრძალავდა ნებისმიერი წიგნის გაყიდვას, სანამ ერთი ეგზემპლარი წინასწარ არ გადაეცემოდა სამეფო სასახლის ბიბლიოთეკას.
დღეს, კანონი "დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ" მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოადგენს ეროვნული საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირებისა და სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის საფუძველს.
ევროკავშირის 28 ქვეყანას შორის კანონი სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ მხოლოდ კვიპროსსა და ნიდერლანდებში არ მოქმედებს. თუმცა, ნიდერლანდებში შემოღებული აქვთ სისტემა, რომლის თანახმად გამომცემლები სავალდებულო ეგზემპლარს ნებაყოფლობით გადასცემენ ეროვნულ ბიბლიოთეკას.
1981 წელს, UNESCO-მ გამოაქვეყნა "სახელმძღვანელო სავალდებულო ეგზემპლარის კანონმდებლობის შესახებ", რათა წევრ ქვეყნებს შეემუშავებინათ კანონმდებლობა ეროვნული ბიბლიოგრაფიის სფეროში.
სამწუხაროდ, საქართველოში ჯერაც არ არის მიღებული კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი "დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარების შესახებ", რაც აფერხებს საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის სრულყოფილად წარმოჩენას და საგამომცემლო პროდუქციის სათანადო აღრიცხვას, როგორც ბიბლიოგრაფიული ასევე სტატისტიკური თვალსაზრისით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ეროვნული ხელნაწერი და ბეჭდური მემკვიდრეობის, აგრეთვე ელექტრონული დოკუმენტების სრულყოფილად შეგროვება-აღრიცხვა, ფართო საზოგადოებისათვის მათ ხელმისაწვდომობა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისნდასაცავად.

"დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ" კანონის მიღება დაგვაახლოვებს ეროვნული საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირებისა და სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის საქმეში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებულ სტანდარტებთან.

ქვეყანამ სრულყოფილად, ხარვეზების გარეშე რომ აწარმოოს საკუთარი ეროვნული ბიბლიოგრაფია და ქვეყანაში გამოცემული პროდუქციის სტატისტიკური აღრიცხვა, ვფიქრობთ, აღნიშნული კანონი "დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ" დროულად არის მისაღები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკას დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის ფორმირების სფეროში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთლიანი ეროვნული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ფონდის დაკომპლექტების საფუძველს.

კანონპროექტი დაარეგულირებს დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის და მიღების პროცესს, მწარმოებელთა და მიმღებთა კატეგორიებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ეროვნული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ფონდების ფორმირების წესს. პასუხისმგებლობას განსაზღვრული მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის შესაძლოა გავლენა მოახდენოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების დაჯარიმების შესაძლებლობას, ვინც არღვევს ამ კანონით დადგენილ ნორმებს

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსურ შედეგები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ ამ კონით დადგენილ ნორმებს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი გადასახდელის შემოღებას, კერძოდ კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ფიზიკური პირი დაჯარიმდება 50 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირი 100 ლარის ოდენობით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

ფრიდონ საყვარელიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

ფრიდონ საყვარელიძე